ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3149551

ნომერი: AR1476034

თარიღი : 05.02.2017

გაცემის თარიღი : 15.03.2017

გაცნობის თარიღი : 16.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან წერეთელი პ/ნ 01024014162
- თბილისი ნ.ხუდადოვის ქ. N 173 კორ. 4 ბ. 13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქუჩაში გასასვლელი კიბის მოწყობისა და არსებული ღობის (კარის მოწყობა) რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა, N263, შპს "ჯული"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.12.11.037.023), ქუჩაში გასასვლელი კიბის მოწყობასა და არსებული ღობის (კარის მოწყობა) რეკონსტრუქციას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.12.11.037.023, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016055034 08/02/2016წ. ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟი, არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, საჯარო რეესტრის 01.03.2017 წლის N68536 წერილი, 2003 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულება.), ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა, N263, შპს "ჯული"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.12.11.037.023), ქუჩაში გასასვლელი კიბის მოწყობისა და არსებული ღობის (კარის მოწყობა) რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.